ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2019 წელი

ეროვნული სატყეო სააგენტო
www.forestry.gov.ge

Contents

სამართლებრივი უზრუნველყოფა 2

საფინანსო საქმიანობა 6

ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ 6

- *საბიუჯეტო სახსრები* 7
- *კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები.* 9

დაფინანსება სხვა წყაროებიდან 12

ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია 13

ტყის მოვლა-აღდგენა 15

ტყის აღრიცხვა 18

ტყითსარგებლობა 20

შიდა აუდიტის სფეროში განხორციელებული საქმიანობა 28

საზოგადოებასთან ურთიერთობა 29

ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება 36

სამართლებრივი უზრუნველყოფა

ნორმატიული აქტები

1. მომზადდა და მიღებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N2-218 ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 06 მარტის №2-131 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

2. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილია „2019 წლისათვის მერქნული რესურსის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

3. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილია „2019 წლისათვის სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული II ხარისხის ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

4. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი **(სააგენტოს თანამშრომლების სოციალური გარანტიების განსაზღვრასთან დაკავშირებით);**

5. მომზადდა და მიღებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 იანვარის №2-86 ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის №50 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; **(სააგენტოს სამოქმედო ტერიტორიაზე უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების აღმოჩენისას შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოსთვის. საჭიროების შემთხვევაში უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების გამოვლენის პროცესში მონაწილეობის მიღება, შესაბამისი აქტების შედგენა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებასთან დაკავშირებით);**

6. მომზადდა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი **(სააგენტოს მიერ მოწყობილ სატყეო პლანტაციებში მერქნული რესურსის - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წვრილმზომი რესურსის - სარის, ჭიგოს დამზადების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის მომსახურების**

საფასურის ცვლილების, ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხების მიზნობრიობის ცვლილების, სააგენტოს მიერ რეკრეაციული სარგებლობის განხორციელების უფლებამოსილების განსაზღვრის, ტყის ფონდიდან სააგენტოს მიერ ნარჩენების გამოტანისა და რეალიზაციის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე);

7. მომზადდა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი **(2 ერთეული სატვირთო ავტომანქანის და 1 ერთეული ბულდოზერის შესყიდვის მიზნით);**

8. მომზადდა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი **(კონდიციონერების შესყიდვის შესახებ);**

9. მომზადდა და სამინისტროში გაგზავნილია „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBiS) პროექტის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის ტყის მართვის დონის აღრიცხვის (FMI/P) საველე სამუშაოებისთვის საჭირო ინვენტარის გადაცემის შესახებ“ დოკუმენტის წინასწარი შეფასების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი; **(სააგენტოსათვის ტყის მართვის დონის აღრიცხვის (FMI/P) საველე სამუშაოებისთვის საჭირო ინვენტარის გადაცემის შესახებ);**

10. მომზადდა „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი **(სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირებისთვის (ამორიცხვისთვის) გათვალისწინებულ ფართობზე დაინტერესებული პირის მიერ მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის მონაცემების შესაბამისი უწყისის ფორმით წარმოდგენის თაობაზე);**

11. მომზადდა და სამინისტროში წარდგენილია „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის № 242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 სექტემბრის დადგენილების პროექტი“;

12. სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის

ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე;

13. სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მომზადდა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოსა და შპს „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას“ (GIZ) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების მოწონების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;

14. მომზადებული და სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მიერ 2019 წლის 05 სექტემბრის N 1287/ს ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს შინაგანაწესი”;

15. მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2019 წლის 05 აგვისტოს N 1010/ს ბრძანება სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის ხანძრებზე ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;

16. მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2019 წლის 12 აგვისტოს N1072/ს ბრძანება „საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგნეტოს ელექტრონული საქმისწარმოების მოწესრიგების შესახებ“ ;

17. მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 11 ოქტომბერის N 1679/ს ბრძანება სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებული ლაგოდეხი - დედოფლისწყარო - სიღნაღის სატყეო უბნის ხირსის სატყეოს კვ. N1-ის ლიტ. N7; 10; 15; 21; 24-ში, წითელ ნუსხით“ დაცული მერქნიანი სახეობების ჭალის მუხისა და კაკალის სოციალური ჭრის წესით დამზადების შესახებ“;

18. მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2019 წლის N1360/ს ბრძანება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ “;

19. მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2019 წლის 12 სექტემბრის N1346/ს ბრძანება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მკაცრი აღრიცხვის ფორმების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის, ასევე, სპეციალური ფირნიშის მიღებაზე, აღრიცხვაზე და შემდგომ მის განაწილებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“;

20. მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2019 წლის 02 აგვისტოს N1000/ს ბრძანება ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე არსებულ ტყის ფონდში (წინუბანის სატყეო ლიცენზიით განსაზღვრული 1000046) საორიენტაციოდ 406 ჰა ფართობზე ტყის

აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) და ტყითსარგებლობის გეგმის შედგენის მიზნით ტექნიკური დავალების დამტკიცების შესახებ“.

საკანონმდებლო აქტები:

- მომზადდა **„ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში“** ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი;
- მომზადდა **„ტყის ფონდის მართვის შესახებ“ კანონში** ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი.

სასამართლოში განხილული და მიმდინარე საქმეები:

2019 წელს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმოებაში იყო 36 სასამართლო საქმე, რაც არ მოიცავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს. აქედან:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა - 3 საქმე;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საწინააღმდეგოდ დასრულდა - 2 საქმე;
- არ დაკმაყოფილდა დავები, სადაც სააგენტო წარმოადგენდა მესამე პირს - 4 საქმე;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დავები სადაც სააგენტო წარმოადგენდა მესამე პირს - 3 საქმე;
- მორიგებით დასრულდა - 2 საქმე;
- ხუთ დასრულებულ საქმეზე ველოდებით სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, დარჩა მიმდინარე - 17 საქმე.

ასევე, სააგენტოს მიერ 2019 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში მომზადდა სამოქალაქო სარჩელები პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე - 45 საქმე;

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 61 განცხადება, აქედან 47, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 მოთხოვნა.

საფინანსო საქმიანობა

ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2019 წელი

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, 2019 წლისათვის, ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ბიუჯეტის *(საქართველოს მთავრობის 2019 წლის 01 მარტის N452 განკარგულების)* შესაბამისად, შემოსულობები განესაზღვრა 32,895.0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 11,895.0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 21,000.0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაგეგმილი იქნა სულ 34,605.0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 11,895.0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 22,710.0 ათ. ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სააგენტოს დაზუსტებულმა გადასახდელებმა შეადგინა 34,025.8 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო ნაწილში - 11,315.8 ათ ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 22,710.0 ათ. ლარი

წლიური დაზუსტებული გეგმით, პერიოდის დასაწყისისთვის (01.01.19) არსებული ფულადი სახსრების ნაშთის (1,792.7 ათ. ლარი) ცვლილებამ (კლებამ) შეადგინა - 1,710.0 ათ. ლარი.

დასახელება	2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა			2019 წლის ფაქტი			2019 წლის შესრულება		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის	
	მთლიანი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები	მთლიანი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები	მთლიანი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის			**1,792.6**			**1792,6**			
შემოსულობები	**32,315.8**	**11,315.8**	**21,000.0**	**26,959.9**	**9,974.4**	**16,985.5**	**83.4%**	**88.1%**	**80.9%**
შემოსავლები	**32,315.8**	**11,315.8**	**21,000.0**	**26,959.9**	**9,974.4**	**16,985.5**	**83.4%**	**88.1%**	**80.9%**
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	**11,315.8**	11,315.8	0.0	**9,974.4**	9,974.4	0.0	**88.1%**	**88.1%**	
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	**21,000.0**	0.0	21,000.0	**16,985.5**	0.0	16,985.5	**80.9%**		**80.9%**
გადასახდელები 31 10 (ნაერთი)	**34,025.8**	**11,315.8**	**22,710.0**	**26,779.5**	**9,974.4**	**16,805.1**	**78.7%**	**88.1%**	**74.0%**
გადასახდელები 31 10 01 (აპარატი)	**17,103.8**	**6,915.8**	**10,188.0**	**14,958.2**	**6,514.8**	**8,443.4**	**87.5%**	**94.2%**	**82.9%**
გადასახდელები 31 10 02 (მოვლა-აღდგენის ღონისძიებები)	**2,340.0**	**600.0**	**1,740.0**	**1,227.5**	**546.9**	**680.6**	**52.5%**	**91.1%**	**39.1%**
გადასახდელები 31 10 03 (ტყითსარგებლობის ღონისძიებები)	**13,932.0**	**3,600.0**	**10,332.0**	**10,400.2**	**2,732.4**	**7,667.8**	**74.6%**	**0.0%**	**74.2%**
გადასახდელები 31 10 04 (ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია)	**650.0**	**200.0**	**450.0**	**193.7**	**180.4**	**13.3**		**0.0%**	
ნაშთის ცვლილება	-1,710.0	0.0	-1,710.0	180.4	0.0	180.4			

ათ. ლარი

- ***საბიუჯეტო სახსრები***

2019 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 11,315.8 ათ. ლარით, აქედან აპარატის ხარჯებისათვის დაიგეგმა - 6,915.8 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 4,400.0 ათ. ლარი.

წლიური საბიუჯეტო სახსრებით დაგეგმილი იქნა ხარჯები 11,315.8 ათასი ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 10,339.0 ათ. ლარზე (გეგმის 91.3%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9,974.5 ათ. ლარი (დაგეგმილი მოცულობის 88.1%). აქედან:

სააგენტოს აპარატში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 6,915.8 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 6,696.1 ათ. ლარზე (გეგმის 97 %), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6,514.8 ათ. ლარი (გეგმის 94%).

- ✓ წლიური დაზუსტებული გეგმის შრომის ანაზღაურების გეგმიდან - 3,292.0 ათ. ლარიდან, რომელიც წარმოადგენს ძირითადი საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდს, ათვისებული იქნა 3,292.0 ათ. ლარი (გეგმის 100%);
- ✓ საქონელი და მომსახურების მუხლით, მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იქნა 3,063.8 ათ. ლარის ხარჯის გაწევა, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 2,857.4 ათ. ლარი (გეგმის 93%). აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 787.53 ათ. ლარი, მივლინებებზე მიმართული იქნა 123.3 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 372.85 ათ. ლარი, სამედიცინო ხარჯებზე 0.50 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 1,048.48 ათ. ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის 265.7 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 259.06 ათ. ლარი.
- ✓ სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იქნა 110.0 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 109.98 ათ. ლარი (გეგმის 99.9%).
- ✓ ,,სხვა ხარჯებისთვის“ (ავტომანქანების დაზღვევა, მოსაკრებლები) – დაგეგმილი იქნა 100.0 ათ. ლარი, აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 98.7 ათ. ლარზე (გეგმის 98.7%).
- ✓ არაფინანსური აქტივების მუხლით დაგეგმილი იქნა 350.0 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 156.8 ათ. ლარი (გეგმის 45%).

სააგენტოს ღონისძიებებიდან საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა სამ ღონისძიებაზე:

- ✓ ,,ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 600.0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 559.0 ათ. ლარზე და საკასო შესრულებამ შეადგინა 546.9 ათ. ლარი (გეგმის 91%). საკასო შესრულება მიმართული სანიტარულ ჭრაზე და ტყის დროებითი სანერგეების მოვლაზე დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე - 240.9 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 0.72 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 301.82 ათ. ლარი, ხოლო სამედიცინო ხარჯებზე - 3.09 ათ. ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ნიადაგის დამუშავება(მოხვნა)) - 0.35 ათ. ლარი.
- ✓ „ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 3,600.0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 2,903.5 ათ. ლარზე და საკასო შესრულებამ შეადგინა 2,732.4 ათ. ლარი (გეგმის 76%). საკასო შესრულება მიმართული იქნა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე - 334.05 ათ. ლარი, “არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით“ მიიმართა - 2,398.3 ათ. ლარი.
- ✓ „ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებებისათვის“ – 200.0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 180.4 ათ. ლარზე და საკასო შესრულებამ შეადგინა 180.4 ათ. ლარი (გეგმის 90 %).

- *კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები*

საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს, 2019 წელს დაგეგმილი ჰქონდა სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიეღო 21,000.0 ათ. ლარი. აქედან: მომსახურების საფასურის, ტყითსარგებლობის წლიური საფასურის და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლების სახით - 3,350.8 ათ. ლარი; 17,399.2 ლარის მიღება დაგეგმილი იყო მერქნული რესურსის დამზადებისა და აუქციონის წესით გაცემის სახით მისაღები შემოსავლებიდან; 50.0 ათ. ლარი - ბანკში დეპოზიტზე დარიცხული პროცენტიდან, ხოლო 200.0 ათ. ლარი - საკომპენსაციო თანხებიდან;

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წელს შეადგინა **16,985.0 ათ. ლარი.** მათ შორის:

ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან - 1,328.7 ათ. ლარი (შემოსავლების 7.8 %);

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და დაფირნიშება - 174.6 ათ. ლარი (1.02 %);

ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 1,794.0 ათ. ლარი (10.56 %);

ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (ტყის ფონდის სარგებლობა) – 168,2 ათ. ლარი (0,99 %);

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან - 52.9 ათ. ლარი (0.31 %);

ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურიდან - 942.5 ათ. ლარი (5.55 %);

ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობზე ფულადი კომპენსაციიდან - 125.0 ათ. ლარი (0.74 %);

მერქნული რესურსის რეალიზაციიდან - 12’283,9 ათ. ლარი (72.32 %);

სხვა დანარჩენი (ბანკის სარგებელი და სხვა) – 115.7 ათ. ლარი (0.68 %);





საანგარიშო პერიოდში, **საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების წლიური მოცულობიდან (22,710.0 ათ. ლარი),** ფაქტობრივად, 2019 წელს აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 18,554.72 ათ. ლარი (გეგმის 81.7%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 16,805.09 ათ. ლარზე (გეგმის 74.0%). აქედან:

სააგენტოს აპარატში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 10,188.0 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 8,818.87 ათ. ლარზე (გეგმის 86.56%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8,443.37 ათ. ლარი (გეგმის 82,88%). მათ შორის:

- ✓ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ვალდებულება აღებული იქნა 3,575.1 ათ. ლარზე (გეგმის 79.11%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 3,575.13 ათ. ლარზე (გეგმის 79.11%);
- ✓ ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლით ვალდებულება აღებული იქნა 1,201.68 ათ. ლარზე (გეგმის 97.54%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 1,108.65 ათ. ლარზე (გეგმის 89.99%); მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართა - 417.13 ათ. ლარი, მივლინებაზე მიიმართა - 42.86 ათ.ლარი, ოფისის ხარჯებზე - 204.04 ათ. ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე 5.07 ათ. ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმისს შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე 6.28 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 324.75 ათ. ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - 108.52 ათ. ლარი.

- ✓ ,,გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების“ მუხლით გათვალისწინებული იქნა 2,100.0 ათ. ლარი, საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 1,712.5 ათ. ლარზე.
- ✓ „სოციალური უზრუნველეყოფის“ მუხლით გათვალისწინებული იქნა 30.0 ათ. ლარი, საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 20.98 ათ. ლარზე.
- ✓ ,,სხვა ხარჯებისთვის“ დაგეგმილი 2,201.0 ათ ლარიდან (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დასუფთავების მოსაკრებელი) – ვალდებულება აღებული იქნა 2,199.94 ათ. ლარზე (გეგმის 99.95%). აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 1,934.0 ათ. ლარზე (გეგმის 87.88%).
- ✓ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (106.0 ათ. ლარი) საკასო გადახდა განხორციელდა 91.91 ათ. ლარზე (9 თვის გეგმის 86.7%).

სააგენტოს ღონისძიებებიდან 2019 წელს საკუთარი შემოსავლებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 3 ღონისძიებაზე:

- ✓ **,,ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“** – 1,740.0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 740,28 ათ. ლარზე და საკასო შესრულებამ შეადგინა 680.60 ათ. ლარი (გეგმის 39.11%).
  - „საქონელი და მომსახურების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 629.07 ათ. ლარი, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართა - 398.67 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებზე - 12.7 ათ. ლარი, სამედიცინო ხარჯებზე - 0.5 ათ. ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 0.12 ათ.ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე - 217.08 ათ.ლარი.
  - „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა - 51.53 ათ. ლარი, შეძენილი იქნა 1 ერთეული „პიკაპი“.

- ✓ **,,ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“** – 10,332.0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 8,932.27 ათ. ლარზე, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7,667.82 ათ. ლარი (გეგმის 74.21%), მათ შორის:
  - „საქონელი და მომსახურების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 6,249.59 ათ. ლარი, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 1,171.13 ათ. ლარი; ოფისის ხარჯზე - 9.08 ათ. ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე - 378,29 ათ. ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულია ხარჯი 4,691.09 ათ. ლარი (ხე-ტყის დამზადება).
  - ,,სხვა ხარჯების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 1,418.23 ათ. ლარი (ტერიტორიულ ბიუჯეტებში გადახდილი იქნა მერქნული რესურსის მოსაკრებელი).

- ✓ **“ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებებისთვის“** – 450.0 ათ ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 63.3 ათას ლარზე, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13.3 ლარი.

დაფინანსება სხვა წყაროებიდან

- ✓ დამტკიცდა ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის შესახებ" საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის მიზნობრივი დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებული ფულადი გრანტის (1,294.4 ათასი ლარი) ხარჯთაღრიცხვა. ანაზღაურებულ იქნა დაქირავეული ექსპერტის ხელფასი, სანიტარული ჭრაზე დასაქმებული მუშების ხელფასები; განხორციელდა მივლინებები წაბლნარების ხმობის ადგილზე შესწავლის და მონიტორინგის მიზნით. გარდა ამისა, შეძენილი იქნა 4 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა („პიკაპი“), 4 ერთეული სატვირთო ავტომანქანა და 2 ერთეული კვადროციკლი. განხორციელდა საქმიანი ეზოს მოწყობის სამუშაოს პირველი ეტაპის ანაზღარება;
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას (UNDP) შორის, „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ (IRDG) პროექტის ფარგლებში, გაფრომდა საგრანტო დოკუმენტი (შეთანხმება) სააგენტომ მიიღო ფულადი გრანტი 126,540.0 ლარის ოდენობით, ტყის ინვენტარიზაციის, ტყის რესურსების მდგრადი მართვის გეგმების შემუშავების პროცესის ხელშეწყობისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 21 116 ჰა ტყის მდგრადი მართვის მხარდაჭერის მიზნით, საიდანაც ათვისებული იქნა 108.2 ათასი ლარი.
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის, პროექტის- “ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებებით უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ ECOserve ფარგლებში გაფორმებული იქნა საგრანტო ხელშეკრულებას ახმეტის სატყეო უბანში საქმიანი ეზოს მოწყობის მიზნით, 145,000.0 ლარის ოდენობით, რომელზეც მომზადდა პროექტი, მაგრამ საქმიანი ეზოს პროექტის ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, გაიზარდა სამუშაოს შესრულების ვადები და ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2020 წლამდე.
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის, პროგრამის “ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებებით უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ *ECOserve პროგრამის* ფარგლებში გაფორმებული იქნა საგრანტო ხელშეკრულება (N83331224, პროექტის N18.2062.0-005.00) "სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 64 894 ჰა ფართობზე ტყის მართვის აღრიცხვის

გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით განხორციელებასა და ეკოსისტემურ მიდგომებზე დაფუძნებული ტყის მართვის გეგმების შემუშავება", მიზნობრივი გრატის თანხა შეადგენს 310,000.0 ლარს. ჩამორიცხვა განხორციელდა 123,000.0 ლარის ოდენობით, საიდანაც ფაქტობრივად ათვისებული იქნა 98’500 ლარი, ახმეტის ინვენტარიზაციის პირველი ეტაპის სამუშაოებზე.

ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N452 01.03.19) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს 2019 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ მომზადდა სააგენტოს 2018 წლის ანგარიში;
- ✓ სააგენტოში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და რეორგანიზაცია, დამტკიცდა ახალი საშტატო ნუსხა;
- ✓ "2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N125 დადგენილების შესაბამისად, სამინისტროს წარედგინა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2017-2018 წლების შეფასება და ინფორმაცია 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;
- ✓ მომზადდა და წარდგენილი იქნა სააგენტოს 2020-2023 წწ საბიუჯეტო განაცხადი;
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში; საბიუჯეტო სახსრების ასიგნებების განწერაში;
- ✓ მიმდინარეობდა სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები და ხელშეკრულებების გაფორმება;
- ✓ განხორციელდა სააგენტოს თბილისის ოფისის სარემონტო სამუშაოები (გულუას ქ. N6-ში); შეძენილი იქნა 1 ერთეული ბულდოზერი; 10 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა (პიკაპი), მათ შორის 4 ერთეული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში; 6 ერთეული მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომანქანა, მათ შორის 4 ერთეული-მიზნობრივი გრანტის ფარგლებში; 2 ერთეული „ ბაგის“ ტიპის კვაროციკლი (მიზნობრივი გრანტის ფარგლებში); განახლდა კომპიუტერული ტექნიკა, შესყიდული იქნა 38 ერთეული ბენზოხერხი;
- ✓ შესყიდული იქნა სააგენტოს მოსამსახურეთათვის სპეციალური ტანსაცმელი-უნიფორმა ფეხსაცმელი ზაფხულისა და ზამთრის სეზონისათვის;

- ✓ განხორციელდა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურისთვის (ქ. ამბროლაური) საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობის შესყიდვა;
- ✓ სამინისტროს მხარდაჭერითა და თანადგომით, სააგენტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გადმოეცა მეორადი 9 ერთეული სატრანსპორტო საშუალება (სატვირთო ავტომობილები, მ.შ. 5 „ურალი“და 4 „ზილი“);
- ✓ მიმდინარეობდა საბუღალტრო პროგრამის „ორის-მენეჯერის“ დანერგვა;
- ✓ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა საქმიანი ეზოების მოწყობის მიზნით: განხორციელდება 16 საქმიანი ეზოს მოწყობა: აქედან - 5 ერთეული კახეთში (გურჯაანი, დედოფლისწარო, მსხალგორი, საგარეჯო, კისისხევი), 5 ერთეული მცხეთის რაიონში (ბულაჩაური, კანატია, თვალივი-2019 წელს; ლისი, ბოდორნა- დასრულდება 2020 წელს); 5 ობიექტი - სამცხე-ჯავახეთში (ანდეზიტი, ბორჯომი-პლატო, წაღვერი, ასპინძა, ჩორჩანი); ასევე, საგრანტო დაფინანსების ფარგლებში მიმდინარეობდა ზესტაფონის საქმიანი ეზოს მოწყობა (დასრულდება 2020 წელს);
- ✓ ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ რეალიზებულია (სტატუსით გაყიდული) 55,0 ათასი $მ^3$ მერქნული რესურსი.

ტყის მოვლა-აღდგენა

კახეთი

- 0,3 ჰა ფართობზე მოეწყო ტყის დროებითი სანერგე (აკაცია);
- განხორციელდა მოვლის ღონისძიებები აკაციის პლანტაციებში 20,5 ჰა ფართობზე;
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს გასაშენებელი აკაციის პლანტაციის პროექტი 18,5 ჰა ფართობზე;
- განთავსდა 22 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი ბზის ალურას მონიტორინგისთვის;
- დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით (GIZ), კახეთის სატყეო სამსახურს გადაეცა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, ცეცხლმქრობი საშუალებები, და სხვა საჭირო ინვენტარი. ასევე, დონორი ორგანიზაციის (GIZ) დახმარებით, სატყეო სააგენტოს ათ თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგები ტყის ხანძრის ქრობისა და პირველადი რეაგირების ეფექტურად განსახრციელაბლად.

იმერეთი

- მოვლის ღონისძიები ჩატარდა 11,9 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა (შერგვით) 23,4 ჰა ფართობზე, დაირგო 11 630 ცალი ნერგი;
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს განსახორციელებელი ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის 2 პროექტი 20,3 ჰა ფართობზე;
- 147 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი განთავსდა ბზის ალურას მონიტორინგის მიზნით.

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი

- განხორციელდა მოვლის ღონისძიებები ტყის დროებითი სანერგის ტერიტორიაზე 0,13 ჰა ფართობზე;
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს განსახორციელებელი ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის (შერგვით) 2 პროექტი 14,4 ჰა ფართობზე;
- ამბროლაურის სატყეო უბნის ნიკორწმინდისა (2 ჰა) და თლუღის (10 ჰა) სატყეოებში კოლხური ბზის კორომები კონსერვაციის მიზნით წლის მანძილზე სამჯერ შეიწამლა ქიმიური ინსექტიციდის „დეცის 25 ეკ“-ის გამოყენებით, რომლის შედეგადაც სამიზნე ფართობზე ბზის მავნებლის რიცხოვნობა სრულად დარეგულირდა;
- ასევე განთავსდა 270 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი, ბზის ალურას მონიტორინგის მიზნით.

შიდა ქართლი

- ტყის დროებით სანერგეში 0,024 ჰა ფართობზე განხორციელდა თესვა და მოვლის ღონისძიებები;
- მოვლის ღონისძიებები ჩატარდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ფართობებზე 13,3 ჰა-ზე.

ქვემო ქართლი

- განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა (შერგვით) 11,8 ჰა ფართობზე, დაირგო 13000 ცალი ნერგი;
- განხორციელდა ტყის გაშენება 0,4 ჰა ფართობზე, დაირგო 2000 ცალი ნერგი;
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს განსახორციელებელი ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი 60 ჰა ფართობზე;
- ხანძარსაშიშ სეზონზე დასაქმდა 2 მეხანძრე დარაჯი.

სამეგრელო-ზემო სვანეთი

- განხორციელდა მოვლის ღონისძიებები ტყის დროებით სანერგეში 0,5 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა ტყის გაშენება 1,14 ჰა ფართობზე (ფართობის შემოღობვა, გაწმენდა, 2020 წლის გაზაფხულზე დაირგვება 5700 ცალი ნერგი);
- განთავსდა 43 ფერომონიანი მწერმჭერი ბზის ალურას მონიტორინგისთვის.

გურია

- მოვლის ღონისძიებები ჩატარდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ფართობებზე 3,2 ჰა-ზე;
- მოვლის ღონისძება ჩატარდა ტყის აღდგენის ღონისძიებებით აღდგენილ 18,2 ჰა ფართობზე;
- მოვლის ღონისძიება განხორციელდა 3 ჰა-ზე გაშენებულ ფართობებზე;
- მოვლის ღონისძება განხორციელდა აკაციის პლანტაციის 2 ჰა ფართობზე:
- მოვლის ღონისძიებების ფარგლებში, განხორციელდა ტყის გაშენება 3 ჰა ფართობზე, სადაც დაირგო 10 500 ცალი ნერგი;
- განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა 2 ჰა ფართობზე;
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს განსახორციელებელი ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი 16,8 ჰა ფართობზე.

სამცხე-ჯავახეთი

- 144 ჰა ფართობზე დაირგო 64 134 ცალი ნერგი და დაითესა 33 466 ცალი ბუდნაში (ორმოში);
- განხორციელდა 144 ჰა ფართობზე მოვლის ღონისძიებები;
- განხორციელდა მოვლის ღონისძიებები ტყის დროებითი სანერგეის 0,05 ჰა ტერიტორიაზე;
- ტყის დროებით სანერგეში დაითესა ფიჭვი 0,04 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის 27,7 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა ტყის გაშენების ღინისძიებები 4,06 ჰა ფართობზე, დაირგო 14000 ცალი ნერგი;
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს განსახორციელებელი ტყის აღდგენის პროექტი 106 ჰა ფართობზე (მ.შ. 93 ჰა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, 13 ჰა ტყის გაშენება თესვით);
- მომზადდა/დამტკიცდა 2020 წელს განსახორციელებელი ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი 63 ჰა ფართობზე;
- ნაძვნარ კორომებში განთავსდა 1000 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი, მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა 12 საველე გასვლა - მონიტორინგი, რომლის შედეგადაც სულ დაჭერილი და განადგურებულია 7 294 700 (შვიდი მილიონ ორას ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდასი) ცალი მბეჭდავი ქერქიჭამია;
- ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში დაპროექტდა და მიმდინარე, 2019 წელსვე მოეწყო - 1 864 გრძ.მ ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლი, დამატებით, გაიწმინდა და რეაბილიტირებულ იქნა 14 111 გრძ. მ ხანძარსაწინააღმდეგო გზა; წაღვერის მიმდებარედ ხანძარსაწინააღმდეგო გზის გაწმენდა/რებილიტაცია - 10 045 გრძ.მ.; ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს N 6, 7 და 8 კვარტლებში განხორციელდა 4 066 გრძ.მ ხანძარსაწინააღმდეგო გზის გაწმენდა);
- ხანძარსაშიშ სეზონზე დასაქმდა 5 დროებითი მეხანძრე დარაჯი.

შენიშვნა:

მაღალი ხანძარსაშიშროების ტყის უბნებში - სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, კახეთის, გურიის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში დაიგეგმა ხანძარსაწინააღმდეგო გზებისა და

მინერალიზებული ზოლების მოწყობა ან/და რეაბილიტაცია, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება 2020 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ჯამში 40,9 კილომეტრამდე სიგრძის მონაკვეთზე.

ტყის აღრიცხვა

- მომზადდა ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ (სატაქსაციო დახასიათება)
  - ✓ 2 635 ჰა ფართობზე - სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის;
  - ✓ 4 497 74 ჰა ფართობზე - ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობის განხორციელებისთვის (აქედან ტყის ფონდშია 1 918,14 ჰა);
  - ✓ 110.5376 ჰა ფართობზე - ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის მიზნით (ახალი ობიექტების მშენებლობა);
  - ✓ განხორციელდა ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების შესწავლა და გაიცა თანხმობა 694.0 187 ჰა ფართობზე, ხოლო ტყის ფონდიდან ამორიცხვაზე უარი გაეცა 653.6791 ჰა ფართობზე.

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, 15 ახალგაზრდა კურსდამთავრებულ მეტყევე-სპეციალისტს სააგენტოს კვალიფიციურმა სპეციალისტებმა ჩაუტარა სასწავლო ტრენინგი.
  - ✓ სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ ახალგაზრდა მეტყევე-სპეციალისტებს გაუფორმდათ შრომითი ხელშეკრულებები ტყის აღრიცხვის საველე სამუშაოების განხორციელების უზრუნველსაყოფად;
  - ✓ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 21 116 ჰა ფართობზე განხორციელდა ტყის აღრიცხვის-ინვენტარიზაციის მოსამზადებელი სამუშაოების პირველი ეტაპი (კარტოგრაფიული მასალა, ორთოფოტო სურათების დეშიფრირება და დაკვარტალება, შეიქმნა შესაბამისი Shp-ფაილები) და დასრულდა ტყის აღრიცხვის მეორე ეტაპი - საველე სამუშაოები.

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის N2-1089 ბრძანებით დამტკიცდა ლანჩხუთის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა 11 254 ჰა ფართობზე.
- GIZ-ის დაფინანსებით და მხარდაჭერით, 14 ახალგაზრდა მეტყევე-სპეციალისტს სამინისტროს და სააგენტოს კვალიფიციურმა სპეციალისტებმა ჩაუტარეს მუდმივი რადიუსის წრიული სანიმუშო ფართობების აღების ტრენინგი (სტატისტიკური ანალიზისთვის).
- GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის და ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩართულობით, მიმდინარეობდა ტყეთმოწყობის და FIMS სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შემუშავება;
  - ✓ ახმეტის რაიონის ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციისა) და მართვის გეგმის შედგენის მიზნით, დაიგეგმა მოსამზადებელი და საველე ღონისძიებები 55 492 ჰა ფართობზე.
  - ✓ ახმეტის სატყეო უბნის (FMI-ფარგლებში) ტყის ფონდის შემდგომი სტატისტიკური ინფორმაციის მომზადების მიზნით, მოპოვებულია სხვადასხვა სატაქსაციო მახასიათებლები 206 სანიმუშო „მუდმივი რადიუსის წრიულ“ ფართობზე;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა დაამტკიცა ლენტეხის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის შედგენის ტექნიკური დავალება (76 350 ჰა). ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის სამუშაოების განხორციელებაზე გამოცხადდა ელ. ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულმა კომპანია შ.პ.ს „გეოგრაფიკმა“ უკვე შეასრულა პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები (კარტოგრაფიული მასალის მომზადება, ორთოფოტო სურათების დეშიფრირება და საკვარტალე ქსელის Shp-ფაილების შექმნა);

- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა დაამტკიცა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გაცემულ ფართობებზე შემუშავებული ტყის აღრიცხვის სამუშაოების და ტყითსარგებლობის გეგმის შედგენის 5 ტექნიკური დავალება;
- ✓ სარგებლობის გეგმების შედგენის მიზნით, გადამოწმდა ყვარლის, ახმეტის, ვანი-ბაღდათის სატყეო უბნებში განხორციელებული ტყის აღრიცხვის, ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები;
- ✓ დაიგეგმა ტყის ინვენტარიზაციის და მართვის გეგმის შედგენის მოსამზადებელი და საველე ღონისძიებები დედოფლისწყარო-სიღნაღის და თეთრიწყაროს რაიონებისთვის;
- ✓ პერსპექტიული სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით, მომზადდა ობიექტის სქემა რუკა 109 000 ჰა ფართობზე, შესაბამისი Shp-ფაილებით, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში (ლენტეხი, ამბროლაური, ონი);
- ✓ პერსპექტიული სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით, მომზადდა ობიექტის სქემა რუკა 6 700 ჰა ფართობზე, შესაბამისი Shp-ფაილებით, ვანი-ბაღდათის სატყეო უბანში;
- ✓ დუშეთის წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიების საკადასტრო აზომვითი ნახაზები. ასევე, მომზადდა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა ხე-ტყის დასაწყობების ადგილების საკადასტრო აზომვითი ნახაზები.

ტყითსარგებლობა

ინფორმაცია ტყითსარგებლობის და სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმების განხილვების შესახებ:

განხორციელდა ცვლილება შ.პ.ს „ტაო“-ს ხე-ტყის დამზადების N100003 სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებულ 26/09/2011წ. N13/402 ბრძანებით დამტკიცებულ ტყითსარგებლობის გეგმაში.

გაიმართა შპს „მიუნჰაუზენი“-ს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვისთვის მომზადდა შპს „იორის რესურსებზე“ სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი.

გაიმართა შპს „შპალ საჟღენთი ქარხანა“-ს ტყითსარგებლობის გეგმაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით პროექტის საჯარო განხილვა.

გაიმართა ხე-ტყის დამზადების სპეციალური N1000058 ლიცენზიის მფლობელის შპს „ქართული ჯგუფი“-ს ახალი ტყითსარგებლობის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა, რომელიც ასევე წარდგენილი იქნა დასამტკიცებლად.

დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“-ის ტყითსარგებლობის გეგმის სამინისტროში დასამტკიცებლად წარსადგენად. გაიმართა შპს „ქართული ჯგუფი“-ს ახალი ტყითსარგებლობის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა.

ინფორმაცია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო უფროსის ბრძანებების საფუძველზე სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭათ შემდეგ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს:

კომპანია	**რაოდენობა**
სს "ენერგო-პრო ჯორჯია"	53
სს "საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია"	2
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	2
სს "სილქნეტი"	9
შპს "RMG GOLD"	5
შპს "RMG Gopper"	2
შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"	3
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	4
სს"ზოტი ჰიდრო"	
ფ/პ გიორგი ონიანი	
ფ/პ გიორგი ტალახაძე	
ფ/პ ვანო ლომიძე	
ფ/პ ლალი წიქარიშვილი	

შპს "ბახვი 2"	
შპს "კავკასუს როუდ პროჯექტი"	
შპს "საქართველოს მელიორაცია"	
შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"	
შპს "სერპანტინიტი"	
შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“	
შპს „სასტუმრო სურამი პალასი“	
შპს „შირიმი“	

ინფორმაცია გრძელვადიანი (იჯარები) ტყითსარგებლობის შესახებ:

სააგენტომ გრძელვადიანი დანიშნულებით (იჯარები) ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით განიხილა82 განცხადება, საიდანაც 21 განმცხადებელს ეთქვა უარი გრძელვადიანი დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მოპოვებაზე, ხოლო 61 განცხადებაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება. სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებით, სააუქციონო პირობების განსაზღვრის მიზნით სამუშაო ჯგუფმა განიხილა 5 განცხადება, რაზედაც მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტები სარგებლობის ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით და გადაიგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა მოპოვების შესახებ:

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე, განხილულ იქნა წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული 133 კორესპოდენცია. აქედან 36 ფართობზე გაიცა თანხმობა, 97 ფართობზე ლიცენზიის გაცემა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

საქმისწარმოება საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით:

- ✓ შპს „ვიონი საქართველოსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 36 ერთეულ მიწის ნაკვეთზე კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით.
- ✓ გაფორმდა ხელშეკრულება სს „სილქნეტი“-თან 4 ერთეულ მიწის ნაკვეთზე. მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სს „სილქნეტი“-ს მიერ მოთხოვნილ 3 ერთეულ მიწის ნაკვეთზე, კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით, ტყითსარგებლობის უფლების გაცემასთან დაკავშირებით.
- ✓ გაფორმდა ხელშეკრულება შპს „მაგთიკომ“-თან 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე. მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება შპს „მაგთიკომ“-ის მიერ მოთხოვნილ 5 ერთეულ ფართობზე აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეოსამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის მიზნით შედგენილი პროექტების და შესრულებული სამუშაების შესახებ:

ინფორმაცია 2019 წელს სატყეო-სამეურნეო გზების დაპროექტება-მოწყობა-რეაბილიტაციის შესახებ (მ)							
N	რეგიონი	დაპროექტებული			შესრულებული (მიეცა რეკომენდაცია ექსპლუატაციისათვის)		
		სულ	მოწყობა	რეაბილიტაცია	სულ	მოწყობა	რეაბილიტაცია
1	შიდა ქართლი	20392	6876	13516	15692	3701	11991
2	ქვემო ქართლი	0	0	0	0	0	0
3	სამცხეჯავახეთი	18665	3930	14735	15375	3030	12345
4	იმერეთი	37101	3517	33584	29879	1973	27906
5	გურია	6491	1441	5050	6320	1270	5050
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	0	0	0	0	0
7	კახეთი	0	0	0	0	0	0
8	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	4627	2767	1860	4047	2187	1860
9	მცხეთამთიანეთი	39160	1010	38150	39160	1010	38150
#	**სულ:**	**126436**	**19541**	**106895**	**110473**	**13171**	**97302**

ასევე, განხორციელდა 2018 წლის პროექტით გათვალისწინებული 1320 მ გზის რეაბილიტაცია და 200 მ გზის მოწყობა.

ინფორმაცია მრგვალი ხე-ტყის (მორი) პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემის შესახებ:

- ✓ „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 463 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პირდაპირი მიყიდვის წესით სააგენტოს მიერ სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის მოთხოვნის შესაბამისად მოსახლეობისთვის და საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოიყო 1678,33 $მ^3$ მრგვალი ხე-ტყე (მორი).
- ✓ პირდაპირი მიყიდვის ფორმით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს გაეგზავნა 4 თანხმობის წერილი, საერთო მოცულობით 80 $მ^3$ საშეშე მერქნული რესურსის შესყიდვასთან დაკავშირებით.
- ✓ განხორციელდა შემოსულ 28 საქმეზე (ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაწერა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება), კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.

ინფორმაცია ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე დამზადებული და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ

რეგიონი	**ამორიცხული ფართობებიდან მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსი (2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, $მ^3$)**
იმერეთი	**279**
კახეთი	**480**
შიდა ქართლი	**141**
ქვემო ქართლი	**428**
მცხეთა-მთიანეთი	**404**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**1 818**
სამცხე-ჯავახეთი	**1 450**
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	**1 596**
გურია	**1 713**
ჯამი	**8 309**

შენიშვნა: სააგენტოს უფროსის 2019 წლის 23 დეკემბრის N2427/ს ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე დამზადებული და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული დასაწყობებული მერქნული რესურსის ინვენტარიზაციის მიზნით, რის შედეგადაც დაზუსტდება ზემოაღნიშნული რესურსის მოცულობა.

ინფორმაცია ტერიტორიული სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტების, აგრეთვე დახურული და გაუქმებული ტყეკაფების შესახებ

2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე ტერიტორიული სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი იქნა 737 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 381 ფაქტი, სისხლის სამართლის - 64 ფაქტი, ხოლო 292 ფაქტზე დაიწერა საველე აქტი და გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში სამართალდამრღვევის გამოსავლენად. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 6768,74 მ³, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 580 775,60 ლარი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო													
გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტები 2019 წელი													
ტერიტორიული ორგანოები (სატყეო სამსახურები)	გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტები, სულ	მათ შორის			უკანონოდ მოპოვებული რესურსის რაოდენობა			გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა	ზიანი, მათ შორის			ჩამორთმეული იარაღი ან სხვა საშუალება	ჩამორთმეული რესურსი
		ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	სისხლის სამართალდარღვევები	სამართალდამც. გადაგზავნ. (აქტებით)	ხე-ტყე (კუბ.მ)	სამასალე	საშეშე		ადმინ. საქმეებზე	სისხლის სამართლის საქმეებზე	ნაკლებად მნიშვნელოვანი (აქტებით)		
ქვემო ქართლი	72	38	7	27	1059.60	0.00	1059.60	34603.90	6825.54	14353.03	13425.33	0	20.491
კახეთი	153	140	12	1	524.82	50.53	474.29	65404.22	7890.00	56732.18	782.04	0	105.85
მცხეთა-მთიანეთი	5	4	0	1	10.13	0.00	10.13	1737.93	1280.98	0.00	456.95	0	0
შიდა ქართლი	144	51	6	87	561.24	159.68	401.56	59765.81	3374.73	9897.70	46493.38	0	7.68
სამცხე-ჯავახეთი	130	34	8	88	700.16	164.37	535.79	56957.15	5797.94	20633.95	30525.26	2	33.41
იმერეთი	91	68	10	13	398.97	207.23	191.74	76041.50	14949.12	51501.49	9590.89	0	26.861 (+31 ცალი მორი)
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	41	9	4	28	812.27	615.09	197.18	118944.57	1399.90	112084.49	5460.18	0	0
გურია	59	12	10	37	592.67	253.77	338.91	50636.57	2487.83	35757.60	12391.14	0	18.484
სამეგრელო - ზემო სვანეთი	42	25	7	10	2108.89	11.44	2097.45	116683.95	2178.44	112596.20	1909.32	0	13.4
სულ	**737**	**381**	**64**	**292**	**6768.74**	**1462.10**	**5306.64**	**580775.60**	**46184.48**	**413556.64**	**121034.49**	**2**	**226.176**

2019 წელს ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული და გაუქმებული ტყეკაფები										
სატყეო სამსახური	სოციალური		კომერციული		სპეციალური		სააგენტოს მიერ განხორც. სპეციალური ჭრა		მოვლითი	
	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული
გურია	9	76	0	4	0	1	0	3	0	0
იმერეთი	2	96	12	0	0	0	0	5	0	0
კახეთი	2	227	1	9	0	0	5	4	0	0
მცხეთა-მთიანეთი	1	320	19	33	0	47	0	9	0	0
რაჭა-ლეჩხუმიქვ.სვანეთი	81	532	0	2	0	0	0	13	0	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	42	0	28	1	35	3	8	1	0
სამცხე-ჯავახეთი	5	385	0	17	0	2	0	7	4	5
ქვემო ქართლი	14	521	0	0	0	1	0	7	0	0
შიდა ქართლი		177	11	1	10	0	3	0	0	0
სულ	**115**	**2376**	**43**	**94**	**11**	**86**	**11**	**56**	**5**	**5**

ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული იქნა 185 ტყეკაფი, ხოლო 2 წლის ვადის გასვლის გამო გაუქმებულ იქნა - 2 617 ტყეკაფი.

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა

სააგენტოში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა.

შემუშავდა ელექტრონული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების შევსების პროგრამული უზრუნველყოფის (აპლიკაციის) ტექნიკური დავალება.

2019 წელს ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციასთან წვდომის შესაბამისი იერარქიული დონეების გათვალისწინებით დაშვება მიენიჭა 33 მომხმარებელს, მათ შორის:

- ეროვნული სატყეო სააგენტოს - 18 თანამშრომელს;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს - 5 თანამშრომელს;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის - 10 თანამშრომელს.

თვითმმართველი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის წარმომადგენელთა სიების საფუძველზე ელექტრონულ სისტემაში აისახა 3811 პიროვნების მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი).

2019 წელს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული მეორე ხარისხის ხე-ტყით მოსარგებლეთა რაოდენობა

N	მუნიციპალიტეტი	რაოდენობა
1	აბაშის მუნიციპალიტეტი	1
2	ადიგენის მუნიციპალიტეტი	46
3	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	43
4	ასპინძის მუნიციპალიტეტი	42
5	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	2
6	ახალციხის მუნიციპალიტეტი	102
7	ახმეტის მუნიციპალიტეტი	233
8	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	14
9	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	212
10	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	351
11	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	38
12	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	29
13	დმანისის მუნიციპალიტეტი	435
14	დუშეთის მუნიციპალიტეტი	132
15	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	6
16	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	153
17	თელავის მუნიციპალიტეტი	382
18	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	4
19	თიანეთის მუნიციპალიტეტი	44
20	კასპის მუნიციპალიტეტი	54
21	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	59
22	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	836
23	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2
24	მარნეულის მუნიციპალიტეტი	91
25	მცხეთის მუნიციპალიტეტი	51
26	ონის მუნიციპალიტეტი	19
27	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	61
28	საჩხერის მუნიციპალიტეტი	5
29	სენაკის მუნიციპალიტეტი	41
30	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	29
31	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	6
32	ქარელის მუნიციპალიტეტი	6
33	ქედის მუნიციპალიტეტი	29
34	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7

35	ყვარლის მუნიციპალიტეტი	76
36	შუახევის მუნიციპალიტეტი	27
37	ცაგერის მუნიციპალიტეტი	13
38	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	84
39	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	1
40	ხაშურის მუნიციპალიტეტი	14
41	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	6
42	ხონის მუნიციპალიტეტი	1
43	ხულოს მუნიციპალიტეტი	24
	ჯამი	**3 811**

2019 წელს სააგენტოს მიერ სპეციალური ჭრის შედეგად დამზადებული ხეტყის შესახებ ინფორმაცია:

2019 წელს სულ დამზადდა **83 000 მ³** მერქნული რესურსი.

სკოლებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების სათბობი შეშით მომარაგების მიზნით დამზადებული და გადაცემულია საერთო ჯამში **38 000 მ³** მერქნული რესურსი.

შიდა აუდიტის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

- 2019 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა 98 დასკვნა 94 პირის მიმართ, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ,,შენიშვნა" გამოეცხადა 61 თანამშრომელს, „გაფრთხილება" გამოეცხადა 19 თანამშრომელს, 26 თანამშრომელს დაუკავდა ხელფასი, 3 თანამშრომელი გადაყვანილი იქნა დაბალი რანგის თანამდებობაზე, ხოლო 4 თანამშრომელი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

- 2019 წლის განმავლობაში სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტში ამავე სააგენტოს ტერიტორიული სატყეო სამსახურებიდან შემოვიდა მოხსენებითი ბარათები, თანამშრომლების მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების შევსებისას, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვისას დაშვებული და, ასევე, სხვა სახის შეცდომების შესახებ (121 შემთხვევა). აღნიშნული შემთხვევები შეისწავლა შიდა აუდიტის დეპარტამენტმა და მოამზადა მოხსენებითი ბარათები, შესაბამისი რეკომენდაციებით. ვინაიდან აღნიშნული ფაქტები განეკუთნებოდა მექანიკური სახის დარღვევებს, მათ მიმართ არ იქნა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

- საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემოწმებული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში არსებული ტყის დროებითი სანერგეები და გაშენებული ფართობები, ასევე, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, რაზედაც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შედგაშესაბამისი საველე აქტები, განხორციელდა სამსახურებრივი შესწავლა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

- ასევე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურების მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო ლტდ"-ს სარგებლობაში არსებული ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობების გადმობარების პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ სხვადასხვა მედია საშუალებებით გაშუქებული ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობა

5 თებერვალი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა საქართველოს პროექტის " Global Forest Watch" ფარგლებში, საქართველოში ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასის შექმნასთან დაკავშირებულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა;

14 თებერვალი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი პროფესიული კოლეჯების პედაგოგებს შეხვდა და სატყეო საქმის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მოისმინა;

21 თებერვალი - ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში, I სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრაზე კოლხური ბზის გადარჩენის მიზნით ჩატარებული შეწამვლის ღონისძიებების შედეგები განიხილეს და 2019 წლის სამოქმედო გეგმა და კომბინირებული ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები შეიმუშავეს;

21 თებერვალი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მე-6 ციკლის (GEF-6) პროექტის „ტყისა და ლანდშაფტის გაუმჯობესებული მართვის ხელშეწყობა კავკასიის რეგიონში" მოსამზადებელი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა;

28 თებერვალი - ეროვნული სატყეო სააგენტო მეტყევე-ტაქსატორების გადამზადება დაიწყო. სააგენტოს მიერ მომზადდა სპეციალური სასწავლო კურსი და სატყეო საქმის სპეციალისტებმა სამთვიანი თეორიული და პრაქტიკული სწავლება სააგენტოს სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ გაიარეს, რის შემდეგაც ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმდნენ;

6 მარტი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა მონაწილეობა მიიღო გადაცემაში „იმედის დილა", სადაც ისაუბრა სააგენტოს მიერ მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოების განხორციელების შესახებ; ;

8 მარტი - ეროვნული სატყეო სააგენტო მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებს, თემაზე ისაუბრა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ,ნათია იორდანიშვილმა ტვ იმედის გადაცემაში „საქმიანი დილა";

10 მარტი - ბორჯომში, პლატოს ტარიტორიაზე, სანიტარული ჭრების მნიშვნელობაზე და აღნიშნული ღონისძიებების მარტის შუა რიცხვებიდან დაწყების შესახებ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრაზე ისაუბრა;

15 მარტი - ბორჯომის „პლატოს" ტერიტორიაზე სანიტარული ჭრების დაწყების შესახებ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ნათია იორდანიშვილმა და მეტყევე-ენტომოლოგმა გიორგი ბერეჩიკიძემ გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო!" ისაუბრეს;

20 მარტი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი ბორჯომში, პლატოს ტარიტორიაზე, მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოებს, კერძოდ, სანიტარული ჭრების მიმდინარეობას, ადგილზე გაეცნო;

21 მარტი - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ტყის საერთაშორისო და ასევე, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე აღნიშნა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ორგანიზაციის „მზის შვილების" ბენეფიციარები ეროვნულ საშენ მეურნეობას სტუმრობდნენ;

21 მარტი - ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ეროვნული სატყეო სააგენტოს, რეგიონული სატყეოს სამსახურების თანამშრომლების ინიციატივით, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე, დასუფთავებისა და დარგვის აქციები გაიმართა;

22 მარტი - ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019-ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა რამოდენიმე გამარჯვებული დააჯილდოვა;

2 აპრილი - დაბა სურამში ტყის აღდგენის პროექტი დაიწყო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, სურამში, ე.წ „ბაიანთხევის“ მიმდებარედ, მუხისა და იფანის ნერგები დარგეს;

2 აპრილი - დაბა სურამში ტყის აღდგენის პროექტი დაიწყო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, სურამში, ე.წ „ბაიანთხევის“ მიმდებარედ, მუხისა და იფანის ნერგები დარგეს;

12 აპრილი - ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ "ნუ მოჭრი ბზას!" კამპანიას ფარგლებში განსაკუთრებით გააამკაცრა კონტროლი ბზის მოჭრაზე. ამის შესახებ ნათია იორდანიშვილი და გიორგი მამადაშვილი გადაცემაში - "დილა მშვიდობისა საქართველო!" საუბრობენ;

15 აპრილი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კაპანია - „ნუ მოჭრი ბზას!“ გრძელდება, რაზეც ნათია იორდანიშვილი და გიორგი მამადაშვილი გადაცემაში „ნაშუადღევს“ საუბრობენ;

16 აპრილი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა ტვ მაესტროზე ისაუბრა ბზის დაცვისა და მოვლის საკითხებზე;

17 აპრილი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა და მეტყევე-ენტომოლოგმა გიორგი მამადაშვილმა მონაწილეობა მიიღეს გადაცემაში „იმედის დილა“, სადაც ისაუბრეს ბზის კანონიერი მოპოვების

18 აპრილი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა მონაწილეობა მიიღო გადაცემაში „იმედის დილა“, სადაც ისაუბრა ბზის მოჭრაზე სანქციების გამკაცრების შესახებ.

19 აპრილი - „ნუ მოჭრი ბზას!“ კამპანიის ფარგლებში, მეტყევე-ენტომოლოგი გიორგი მამადაშვილი ერთსულოვნების დილის გადაცემაში „განთიადი“ საუბრობს;

20 აპრილი - ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემაში „დილა მშვიდობის, საქართველო!“ გავიდა სიუჟეტი „ნუ მოჭრი ბზას!“კამპანიის ფარგლებში;

6 მაისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი სოფელ დაბაში 2008 და 2017 წლებში ხანძრით დაზიანებული ტყის აღდგენის პროექტით უკვე განხორციელებულ საგაზაფხულო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო;

8 მაისი - ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, 2008 და 2017 წლებში ხანძრით დაზიანებული ტყის ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებისთვის საინფორმაციო ტური გაიმართა;

12 მაისი - ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, 2008 და 2017 წლებში ხანძრით დაზიანებული ტყის აღდგენის პროექტის დარგვის საგაზაფხულო სამუშაოები საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების მონაწილეობით დასრულდა;

17 მაისი - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მასშტაბით, ხანძარსაშიშ უბნებსა და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განსაკუთრებით დატვირთულია ტურისტულ სეზონზე, დამატებითი საინფორმაციო-გამაფრთხილებელი ნიშნები განათავსა;

22 მაისი - ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ინიციატივით, 2500 კავკასიური ფიჭვის ნერგი დაირგო;

22 მაისი - კომპანია IDS ბორჯომი საქართველომ ნომინაცია „ბორჯომის გმირი-2019“-ის მფლობელები გამოავლინა;

23 მაისი - კომპანია ,,ბრითიშ ამერიკან ტობაკოს'' კავკასიისა და მოლდოვის წარმომადგენლობამ საქართველოში, ბორჯომში, პლატოს ტერიტორიაზე, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ფარგლებში,1500-მდე კავკასიური ფიჭვის ნერგი დარგო;

29 მაისი - ბორჯომის ხეობაში, დაბა წაღვერში, 2017 წელს ხანძრით დაზიანებულ ტყეში, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციის მიზნით, გზების გაწმენდითი სამუშაოები და მინერალიზებული ზოლების გაყვანა განხორციელდა;

3 ივნისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც ნაქერალას უღელტეხილზე, კოლხური ბზის კორომების შეწამვლის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო;

4 ივნისი - მცხეთა - მთიანეთის რეგიონში, მუხათწყაროს მიმდებარედ, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით და საპატრიარქოს ფონდ ,,გაამწვანე საქართველოს'' ინიციატივით, 400-მდე შავი ფიჭვის ნერგი დაირგო;

5 ივნისი - გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, 2008 და 2017 წლებში ხანძრით დაზიანებული ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა სიმბოლურად წიწვოვანი სახეობის ნერგები დარგეს;

9 ივნისი - ლაგოდეხში, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის 21 116 ჰა ფართობზე , ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები დაიწყო. მირებული მონაცემების საფუძველზე მომზადდება ტყის ათწლიანი მართვის გეგმა;

11 ივნისი - ეროვნული სატყეო სააგენტო, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მავნებელი მწერის, მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს აგრძელებს;

16 ივნისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სატყეო მიმართულების სტუდენტებს შეხვდა და მათ სატყეო სექტორის სამომავლო გეგმებზე ესაუბრა;

20 ივნისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, დიდი ლიახვის ხეობიდან და ახალგორიდან იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის, შიომღვიმეს მიმდებარედ, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ეკო - გაკვეთილი გაიმართა;

25 ივნისი - ეროვნული სატყეო სააგენტო, ბორჯომის ხეობაში, 2008–2017 წლებში ხანძრით დაზიანებულ ტერიტორიაზე, ტყის მოვლა-აღდგენის პროექტის ფარგლებში, შუალედურ მონიტორინგს ახორციელებს;

29 ივნისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი სოფელ კავთისხევში ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების აღდგენით სამუშაოები შეამოწმა;

3 ივლისი - იყალთოში გარემოსდაცვით თემებზე მომუშავე ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა;

7 ივლისი - მოსახლეობის საშეშე მერქნით შეუფერხებლად მომარაგების მიზნით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ სატყეო-სამეურნეო გზების აღდგენითი სამუშაოები სოფელ პერევში განახორციელა;

9 ივლისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ნათია იორდანიშვილმა ტელეკომპანია იმედის გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო!“ ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან დაკავშირებით, მოუწოდებს მოსახლეობას დაიცვან ტყეში უსაფრთხოების წესები და დაემორჩილონ იმ აკრძალვებს, რომელიც ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების მოწყობისას და კოცონის დანთებისას ვრცელდება;

11 ივლისი - „ზაფხული მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკურებით ხანძარსაშიში პერიოდია. ამავდროულად, სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ადამიანთა დაუდევრობაა, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს” - ნათია იორდანიშვილი „ნაშუადღევში“;

12 ივლისი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ნათია იორდანიშვილმა ტელეკომპანია მაესტროს ეთერში ტყეში ხანძარსაშიშროებაზე და ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყეში გამაფრთხილებელი ნიშნები დამატებით განათავსების შესახებ ისაუბრა:

14 ივლისი - ბორჯომში, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი თანამედროვე სახის საკემპინგე ადგილის მოწყობა; რომელიც აღჭურვილი იქნება

21 ივლისი - ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების აღდგენითი სამუშაოები თიანეთში, სოფელ ალოტთან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჩატარდა;

23 ივლისი - შაორის ტბის მიმდებარედ, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, დასუფთავების აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსთან არჩილ ნიკოლეიშვილთან ერთად, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა მიიღეს;

29 ივლისი - ლაგოდეხში, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები დასრულდა. ინვენტარიზაციის სამუშაოებში სატყეო სააგენტოს სპეციალისტების მიერ გადამზადებული მეტყევე-ტაქსატორები იყვნენ დასაქმებულები;

29 აგვისტო - ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, გასვლითი შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტის, დოქტორი ირინა მაციახის მონაწილეობით, ზესტაფონში, სატყეო უბანში დაავადებული წაბლის კორომებში გაიმართა;

4 სექტემბერი - ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების აღდგენითი სამუშაოები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, სოფელ სვირშიმიმდინარეობს;

11 სექტემბერი - გზების მოწყობა-რეაბილიტაცია გურიის მაღალმთიან სოფლებში - მთისპირში, ზოტსა და შუა სურებში განხორციელდა;

22 სექტემბერი - „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ - კამპანიას რეგიონული სატყეო სამსახურების თანამშრომლები შეუერთდნენ;

6 ოქტომბერი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლებმა კახეთის სატყეო სამსახურს ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა და აღჭურვილობა გადასცეს;

9 ოქტომბერი - ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები ახმეტაში, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე 64 000 ჰა ფართობზე ხორციელდება, რომლის საფუძველზე ათწლიანი მართვის გეგმა მომზადდება;

10 ოქტომბერი - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ აღნიშნა მეტყევის დღე, რომელიც გაშუქდა სხვადასხვა მედია საშუალებებით;

10 ოქტომბერი - მეტყევის დღესთან დაკავშირებით მომზადდა და ტვ იმედის ეთერში გავიდა ვრცელი სიუჟეტი მეტყევის პროფესიაზე „ოჯახის ტრადიციად ქცეული პროფესია - მეტყევეების ოჯახი, ძმები სილაგაძეები“;

22 ოქტომბერი - ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფელ ლელოვანის საჯარო სკოლის ეზოში დარგვის აქცია გაიმართა;

5 ნოემბერი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა არჩილ ნიკოლეიშვილმა, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის მეტყევეს ვაჟა ჯებისაშვილს 70 წლის იუბილე მიულოცა და სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის მადლობის სიგელი, აგრეთვე სიმბოლური საჩუქარი გადასცა;

13 ნოემბერი - სამცხე ჯავახეთის სატყეო სამსახურის მეტყევეს გურამ მესხიძეს 70 წლის იუბილე და სატყეო დარგში გატარებული 50 წელი ეროვნული სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობამ მიულოცა;

20 ნოემბერი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა არჩილ ნიკოლეიშვილმა, კახეთის სატყეო სამსახურის მეტყევეს თამაზ გურგენიშვილს 65 წლის იუბილე მიულოცა;

21 ნოემბერი - ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, ნახანძრალი ტყის აღდგენის საშემოდგომო სამუშაოების ფარგლებში 144 ჰა ფართობზე 80 ათასამდე ნერგი დაირგო;

24 ნოემბერი - იმერეთის რეგიონში, სოფელ საწირეში ტურისტულ ზონაში, ტყის აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა სააგენტოს უფროსთან არჩილ ნიკოლეიშვილთან ერთად საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და საწირეს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს;

25 ნოემბერი - სამეგრელო - ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მეტყევეს ზაურ ცინდელიანს 56 წელის სატყეო დარგში გატარება და 75 წლის იუბილე ეროვნული სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობამ მიულოცა;

27 ნოემბერი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი საქართველოს სტუდენტური პარლამენტის წარმომადგენლებს შეხვდა;

28 ნოემბერი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა არჩილ ნიკოლეიშვილმა, სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა და 2019 წლის მნიშვნელოვანი შედეგები, მედიის წარმომადგენლებს გააცნო;

28 ნოემბერი - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა არჩილ ნიკოლეიშვილმა, გურიის სატყეო სამსახურის მეტყევეს ზაზა ვასაძეს 50 წლის იუბილე მიულოცა;

15 დეკემბერი - ქუთაისის მერიისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ქუთაისში დარგვის აქცია გაიმართა;

17 დეკემბერი - ნუ მოჭრი, მორთე! წინასაახალწლოდ წიწვოვნების უკანონო ჭრის პრევენციასა და სანქციებზე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის უფროსი მაია ჩხობაძე “დილამშვიდობისა საქართველოს" ეთერში;

20 დეკემბერი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ქალაქ რუსთავში დარგვის აქცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა და საკალათბურთო კლუბის - „რუსთავი 1991“ წევრებმა 40-მდე წიწვოვანი სახეობის - ელდარის ფიჭვი დარგეს;

20 დეკემბერი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წიწვოვნების მოპოვებაზე კონტროლს ამკაცრებს;

2019 წლის განმავლობაში დამზადდა და სოციალურ ქსელში გავრცელდა 20 საინფორმაციო ბანერი;

დამზადდა და სოციალურ ქსელში, ასევე ვებ გვერდზე გამოქვეყნდა 64 შემეცნებითი და ვიდეო-ბლოგი ციკლიდან „ერთის ხის ისტორია“, „გაიცანი მეტყევე“, „ტყის ქომაგი“, „ტყე ჩემი სახლია“, „მეტყევის ერთი დღე“, და ა.შ.;

მედიაში სააგენტოს საქმიანობის შესახებ გავიდა 88 სიუჟეტი და 8 რადიო ინტერვიუ;

დაკმაყოფილდა 44 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაზე.

ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

საკადრო მიმართულებით:

- 2019 წლის საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა 1 594 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ, 162 ბრძანება თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, 635 ბრძანება თანამშრომელთა შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებ, 763 ბრძანება მივლინების შესახებ; გაფორმდა 1 370 შრომითი ხელშეკრულება;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების ზოგიერთ თანამდებობაზე დასანიშნად შესაბამისი კანდიდატების კონკურსის წესით შერჩევის მიზნით მომზადდა 29 ბრძანება. 112 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე ატვირთული განაცხადებიდან, გადაირჩა 1 237 აპლიკაცია, საიდანაც შეფასება/გადარჩევის ეტაპი გაიარა (გადალახა) და კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავიდა 423 კანდიდატი, მათგან გასაუბრებაზე გამოცხადდა 124 კანდიდატი;

საქმისწარმოების მიმართულებით:

- 2019 წლის განმავლობაში სააგენტოს კანცელარიიდან გასულია 6 507 და შემოსულია 33 971 კორესპონდენცია; სააგენტოს თანამშრომელთა მიერ მომზადებულია 12 103 მოხსენებითი, 8 403 სამსახურებრივი ბარათი.
  სააგენტოს კანცელარიაში შემოსულია მოქალაქეთა 3 480 და თანამშრომელთა 371 განცხადება.